



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/55

ქ. ბათუმი

29 ივლისი, 2022 წ.

ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. 2022-2023 სასწავლო წელს ბსუ-ს სასწავლო პროცესი (ლექციები / ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

1.1. შემოდგომის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2022 წლის 19 სექტემბერს** და დასრულდეს **2022 წლის 30 დეკემბერს;**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს 2022 წლის 18 სექტემბერს;**

გ) საშობაო არდადეგები - 2022 წლის 31 დეკემბრიდან 2023 წლის 08 იანვრის ჩათვლით;

დ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 09 იანვრიდან 29 იანვრის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 30 იანვრიდან 05 თებერვლის ჩათვლით.

1.2. გაზაფხულის სემესტრში:

ა) სასწავლო პროცესი დაიწყოს **2023 წლის 27 თებერვალს** და დასრულდეს **2023 წლის 10 ივნისს;**

ბ) სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია ან/და ცვლილებების შეტანა **დასრულდეს 2023 წლის 26 თებერვალს;**

გ) ძირითადი საგამოცდო სესია - 2023 წლის 12 ივნისიდან 02 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2023 წლის 03 ივლისიდან 08 ივლისის ჩათვლით;

დ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება - 2023 წლის 10 ივლისიდან 14 ივლისის ჩათვლით;

2. სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ ლაბორატორიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად. აკადემიური საათი განისაზღვრება 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი/შესვენება - 10 წუთით.

3. წინამდებარე დადგენილებით განსაზღვრულ 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამართლებრივი აქტი გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.

4. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

5. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარიასთან) და ფაკულტეტების დეკანების ოფისებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს პორტალზე, ბსუ-ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქ-გვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულს და მართვის ორგანოს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი

მერაბ ხალვაში